განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## არქეოლოგია (საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

10. 12. 2019

14. 02. 2020

თბილისი
2019

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 211349192 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | არქეოლოგია |
| განათლებისსაფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელიკვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | არქეოლოგიის ბაკალავრი (0222) |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტებისრაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული (13.12.2014. ბრძანება #286) |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ბონდო კუპატაძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო) |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | დავით ბრაგვაძე (შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო) |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ჯიმშერ ჩხვიმიანი (ილიას უნივერსიტეტი, საქართველო) |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (შემდგომში - უნივერსიტეტი) წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს და მდებარეობს თბილისში (ქალაქი თბილისი, მ. კოსტავას 77). სწავლების ენა ქართულია. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „არქეოლოგია" ხორციელდება საქართველოსტექნიკურ უნივერსიტეტში არქეოლოგიისა და საქართველოს ისტორიის დეპარტამენტის ბაზაზესაინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე,რომელიც სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 16 მაისის №19/87 დადგენილებით ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა. პროგრამამ, რომელიცშემუშავებულია არქეოლოგიის დარგში აღიარებული თეორიული და პრაქტიკული გამოცდილებისსაფუძველზე, აკრედიტაციის პროცედურა 2014 წელს გაიარა (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება№286, 13.12.2014). ახალი ფაკულტეტის ფორმირების შესაბამისად ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „არქეოლოგიამ"2018-2019 წლებში განიცადა მრავალგზისი მოდიფიცირება.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

- აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 10 დეკემბერს. ვიზიტამდე სამი დღით ადრე, 7 დეკემბერს, ექსპერტთა ჯგუფის წევრები ერთმანეთს შეხვდნენ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, სადაც მოხდა თვითშეფასების ანალიზისა და სხვა წარმოდგენილი დოკუმენტაციის თაობაზე აზრების გაზიარება.
- განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა ვიზიტის დღეს ინტერვიურების პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
- 10 დეკემბერსუნივერსიტეტში ვიზიტის ფარგლებში 10.00 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, ამჟამინდელ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.
- ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, მუზეუმი, ლაბორატორია, აუდიტორიები, კაბინეტები და ა.შ.) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგითა და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
  - აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წინაშე წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „არქეოლოგია" სრულად აკმაყოფილებს მესამე და მეხუთე სტანდარტებს. მეტწილად აკმაყოფილებს პირველ და მეოთხე სტანდარტებს.ნაწილობრივ შესაბამისობაშია მეორე სტანდარტი.

- **რეკომენდაციები**

- სასწავლო კურსები „მინერალოგიის შესავალი“ და „მინერალოგია“ შინაარსობლივად სრულ თანხვედრაშია ერთმანეთთან (სალექციო თემები: 2-14). გაუგებარია რა საჭიროა ერთი პროგრამის ფარგლებში ორი იდენტური კურსი.ერთ-ერთი უნდა იქნას ამოღებული კურიკულუმიდან.
- აკადემიური პერსონალის მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის პროფესიონალი არქეოლოგი. არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის შემსრულებელ ძირითად აკადემიურ პერსონალში ჭარბობს მომიჯნავე დარგების სპეციალისტები (გეოლოგია-მინერალოგია...), რაც ნაწილობრივ მისაღებია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, თუმცა არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სამომავლო განვითარებისთვის მნიშვნელოვანია პროგრამის ამ კუთხით მოდიფიცირება და პროგრამაში პროფესიონალი არქეოლოგების წილის ზრდა. სუფთა არქეოლოგიური სასწავლო კურსების დამატების შემთხვევაში (რაზეც საუბარი გვაქვს დასკვნის მეორე სტანდარტის რჩევებში) სასურველი იქნებოდა არქეოლოგის სპეციალობით აკადემიური პერსონალის დამატება.
- სავალდებულო სასწავლო კურსებში მოცემულია: „**საველე არქეოლოგია**“, 5 კრედიტიანი სასწავლო კურსი.15 სალექციო და 30 პრაქტიკის საათობრივი განაწილებით. „**საველე არქეოლოგია**“, 5 კრედიტიანი სასწავლო კურსი. 60 სთ. „საველე პრაქტიკა“, 5 კრედიტიანი სასწავლო კურსი. 60 სთ. „**საველე პრაქტიკა - დაზვერვები**“, 5 კრედიტიანი სასწავლო კურსი. 60 სთ. **„საველე პრაქტიკა - სტაციონარული გათხრები“**, 5 კრედიტიანი სასწავლო კურსი. 60 სთ. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოჩამოთვლილ ამ სხვადასხვა სასწავლო კურსებში თემების დასახელება და შინაარსი მეორდება, მოხდეს მათი ერთმანეთთან გაერთიანება და მოდიფიკაცია. აქვე, ცალკე სასწავლო კურსის სახით შესაძლოა მოაზრებული იყოს „ლანდშაფტური არქეოლოგია“.
- სასწავლო კურსს, სახელწოდებით „საქართველოს არქეოლოგია“ შეეცვალოს სახელწოდება ან მოხდეს მისი მოდიფიკაცია. სასწავლო კურსის სილაბუსი არ პასუხობს კურსის სახელწოდებას: სილაბუსში სრულებით არ არის წარმოდგენილი შუა საუკუნეების არქეოლოგია და მასთან დაკავშირეული შესაბამისი თემები. ამდენად, არსებული სასწავლო კურსი ფაქტიურად წარმოადგენს „საქართველოს წინაქრისტიანული ხანის არქეოლოგიას“.არქეოლოგიის სასწავლო პროგრამაში საქართველოს არქეოლოგიის ძირითადი სავალდებულო საკითხები ჩართვის მიზნით განხორციელდეს „საქართველოს არქეოლოგიის“ პერიოდებად დაყოფა და მათი ცალკეულ სასწავლო კურსებად ჩართვა სასწავლო პროგრამაში: მაგ. „ქვის ხანის არქეოლოგია“, „ბრინჯაოს ხანის არქეოლოგია“, „წინარეანტიკური და ანტიკური ხანის (კლასიკური) არქეოლოგია“, „შუა საუკუნეების არქეოლოგია“.
- სასწავლო კურსის სილაბუსი „შრომის უსაფრთხოება არქეოლოგიაში“ (კოდი: HHS22503G1-LB) 4 კრედიტიანი, 15 სალექციო და 15 ლაბორატორიული საათების გადანაწილებით. რჩება შთაბეჭდილება, რომ კურსი უფრო მეტადაა მორგებული საწარმოო-სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებს. ამდენად, სასურველია კურსი მოდიფიცირდეს და მასში მეტი დოზით შევიდეს უშუალოდ საველე-არქეოლოგიურ სამუშაოებთან დაკავშირებული უსაფრთხოების საკითხები (მაგ. მიწის სამუშაოების დროს გასათვალისწინებელი უსაფრთხოების ზომები: არქეოლოგიური თხრილების დაცვა (შემოზღუდვა, მარკირება სანიშნებით) მასში ადამიანების ჩავარდნის რისკებისაგან; არქეოლოგიურ თხრილებში მომუშავე პერსონალის დაცვა თხრილის პროფილების ჩამოზვავებისაგან და შესაბამისი, გასატარებელი ღონისძიებები (მაგ. თხრილების დატერასების პრინციპები). საველე სამუშაოების წარმოებისათვის საჭირო პერსონალური დაცვის აღჭურვილობა (PPE) და ა.შმნიშვნელოვან განახლებას საჭიროებს სასწავლო კურსი:

„ნუმიზმატიკა“. ლექტორი არ არის ამ დარგის სპეციალისტი (მის პროფესიულ ბიოგრაფიაში არ ჩანს არცერთი ნაშრომი ამ მიმართულებით). ეს გარემოება ეტყობა სილაბუსსაც. კურსის შინაარსის მიხედვით ეს არის არა ნუმიზმატიკა, არამედ „ქართული ნუმიზმატიკა“. ამასთან კურსი წყდება მე-13 ს-ით და საერთოდ არ ეხება მე-14-19 სს-ის ქართულ ნუმიზმატიკას.მნიშვნელოვან განახლებას საჭიროებს სასწავლო კურსი: „საქართველოსკულტურულიმემკვიდრეობისძეგლები“.შინაარსი და თემატიკა არის გაფანტულად, ძირითადი აქცენტია სასულიერო კულტურის ძეგლებზე. არჩანს საეროარქიტექტურა (ციხე-სიმაგრეები, ხიდები, სასახლეები, მთისკოშკი-საცხოვრებლები).მე-19-20სს-ისხელოვნებაშიმხოლოდთბილისია.არარისკულტურულიმემკვიდრეობისურბანულიგეგმარ ებისძეგლები (ქუთაისი, თბილისი, ბათუმი, თელავი, სიღნაღი, გორი...)გასაუბრებამ და ლექტორთა კვალიფიკაციის ამსახველი დოკუმენტაციის გაცნობამ გამოკვეთა რამდენიმე საგანი, რომელთა შემთხვევაში ლექტორებს არ აქვთ მისი სწავლებისთვის აუცილებელი გამოცდილება და ამ მიმართულებით აკადემიური ნაშრომები საერთოდ არ გააჩნიათ. რაც უარყოფითად აისახა თავად სილაბუსებზეც და ხშირ შემთხვევაში მათი შინაარსი აცდენილია შესასწავლ დისციპლინას, ან არ მოიცავს სათანადო ქრონოლოგიას. (ეს საგნებია: HEL22212G1-LS - საქართველოს ისტორიული გეოგრაფია; HEL29212G1-LS - საქართველოს ისტორიული ეთნოლოგია; HEL25513G1-LS - ჰერალდიკა; აღსანიშნავია, რომ საგნის „HEL22612G1-LS - პალეოგრაფია“ შემთხვევაში გაირკვა, რომ სილაბუსის ავტორს 5 წლის მანძილზე პროგრამაზე არ წაუკითხავს არცერთი საგანი. ამავე დროს, ის ფიქსირდება სავალდებულო საგნის სილაბუსის ავტორად, ლექციებს კი ატარებს სხვა ლექტორი, რაც ასევე გამოსასწორებლად მიგვაჩნია.

- კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს ადგილი ჰქონდა უცნაურ შემთხვევას - 2019 წლის კურსდამთავრებულმა ვერ დაასახელა რამდენიმე თვის წინ დაცული საბაკალავრო ნაშრომის სათაური. პროგრამის მიხედვით საბაკალავრო ნაშრომს აფასებს 3-კაციანი კომისია. ვფიქრობთ, სტუდენტთა მოტივაციის გაზრდის, საბაკალავრო ნაშრომის ხარისხის ამაღლების და შეფასების მეტი ობიექტურობისთვის აუცილებელია კომისიის გაზრდა და სპეციალისტთა მეტი ჩართულობა.
- 2015 წელს არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე მიღებული 20 სტუდენტიდან 2019 წელს ბაკალავრის დიპლომი აიღო მხოლოდ 3-მა. ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ არცერთმა მათგანმა არ გაგრძელა სწავლა მაგისტრატურაში. ობიექტური მიზეზების გარდა სავარაუდოდ არსებობს პრობლემები, რომლის გამოსწორებაზეც უნდა იფიქროს პროგრამის მენეჯმენტმა, თუკი მიზნად აქვთ დასახული პროგრამის შემდგომი განვითარება და სრულყოფა. ეს შეიძლება იყოს: კურიკულუმის განახლება და შევსება არქეოლოგიის დისციპლინის საგნებით, აკადემიური პერსონალის გაახალგაზრდავება პროგრამაში მეტი პროფესიონალი და პრაქტიკოსი არქეოლოგის ჩართვით, სტუდენტების მოტივაციის ამაღლება მათთვის საწყის ეტაპზე თუნდაც სტაჟირების შეთავაზებით...
- ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში შეფასების სისტემა შეცდომით არის წარმოდგენილი და აუცილებლად გასასწორებელია. კომპონენტებით გაწერილი აქტივობების მინიმალური დადებითი ქულების ჯამი არის 32,5 ქულა. ხოლო მინიმალური ქულა დამატებით გამოცდაზე გასასვლელად (FX) არის 41 ქულა.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- პროგრამის გარე ხარისხის შეფასება შემოიფარგლება მხოლოდ აკრედიტაციის საბჭოს მიერ მინიჭებული აკრედიტაციით. სასურველია, აკრედიტაციის მიღებიდან მისი ვადის ამოწურვამდე პროგრამა იყენებდეს გარე შეფასების სხვა მექანიზმებს, რათა უფრო ეფექტიანად მოხდეს მისი დახვეწა და განვითარება.
- მიუხედავად იმისა, რომ სტუ-ს გააჩნია წვდომა საერთაშორისო ელექტონულ ბაზებზე, რაც პროგრამის სტუდენტებს საშუალებას აძლევს გაეცნონ მათ დარგში მსოფლიოში მიმდინარე სიახლეებს, გასაუზრებაზე გამოიკვეთა, რომ ამ რესურსს პროგრამის სტუდენტები პრაქტიკულად არ იყენებენ. მათ შორის ისეთი სტუდენტები, რომელთაც არ აქვთ უცხო ენაზე საუბრის, კითხვისა და კომუნიკაციის პრობლემა. სასურველია პროგრამის ხელმღვანელმა, ადმინისტრაციამ და აკადემიურმა პერსონალმა მეტი დრო დაუთმონ სტუდენტებთან ამ რესურსების გამოყენების მნიშვნელობას, რათა მათ მიერ მოხდეს არსებული ბაზების ჯეროვანი გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს მათი ცოდნის ხარისხის ამაღლებას.
- სწავლის პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ფუნქციურობის განვითარება.
- სტუდენტური პორტალის საშუალებით სტუდენტებს საშუალება უნდა ჰქონდეთ ელექტრონულად გაეცნონ ძირითად და დამატებითი (არჩევითი) სასწავლო კურსების სილაბუსებს. ამავე პორტალის საშუალებით, დისტანციურად აირჩიონ სასურველი სასწავლო კურსები.სასურველია ამავე პორტალის საშუალებით სტუდენტებმა შეძლონ სასწავლო კურსებთან დაკავშირებული, პედაგოგების მიერ სისტემაში ატვირთული, რიდერების (სასწავლო კურსისთვის სავალდებულო სამეცნიერო ლიტერატურის მზა კრებული) ჩამოტვირთვაც.
- არსებული, სტუდენტთა აკადემიური მოსწრებისა და მონიტორინგის სისტემური პორტალის (leqtori.gtu.ge) ფუნქციები გაერთიანდეს,ჩვენი რჩევებიდან გამომდინარე, სასურველ სწავლების პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ფუნქციებში.
- უცხოელი, დარგის სპეციალისტების მოზიდვა სალექციო კურსის, სემინარების, ვორკშოპებისა, თუ სხვა სასწავლო-კვლევითი ღონისძიებების განხორციელების მიზნით.
- სასურველია სწავლების პროცესში დაინერგოს აუდიო და ვიდეო მასალების გამოყენება და მოხდეს მათი ასახვა სილაბუსებში ლინკების მითითებით.
- არქეოლოგიის ძირითადი საგნებისა და მომიჯნავე მიმართულების საგნების სილაბუსების შედგენისას სასურველია მოხდეს კოორდინირება პროგრამის ხელმძღვანელობასა და სილაბუსების ავტორებს შორის პროგრამის მიზნებით გათვალისწინებული შედეგობრივი მიღწევების გასაუმჯობესებლად.
- ვინაიდან სილაბუსი საბაკალავრო საფეხურზე სწავლისას სტუდენტის უმნიშვნელოვანესი გზამკვლევია, სასურველია რომ თითოეულ სალექციო თემაზე მითითებული იყოს კონკრეტული სახელმძღვანელო და გვერდები (განსაკუთრებით, როდესაც სავალდებულო ლიტერატურა რამდენიმეა და საწყისი სემესტრების სტუდენტებს უჭირთ ორიენტირება).
- სასწავლო პროგრამების სილაბუსებში უცხოენოვანი (ინგლისური) ლიტერატურის (არაძირითად ლიტერატურაში მაინც) გაზრდა.
- საველე-არქეოლოგიის სალექციო და პრაქტიკულ სასწავლო კურსებში დაემატოს და გაიზარდოს გეო-საინფორმაციო სისტემების თეორიული და პრაქტიკული სწავლება (ელექტრონული ტახეომეტრი (TST), GIS, ArcGIS, ArcMap, AutoCAD და სხვ.).
- საველე-არქეოლოგიის სალექციო და პრაქტიკულ სასწავლო კურსებში ან ცალკე კურსის სახით დაემატოს საველე-არქეოლოგიური ფოტოგრაფია, მათ შორის აეროფოტოგრაფია; არქეოლოგიური არტეფაქტების ფოტოგრაფირება. ფოტომასალების დამუშავებისათვის საჭირო კომპიუტერული პროგრამების სწავლება და სხვ.
- სასურველია მოცემულ პროგრამაში ისწავლებოდეს საველე არქეოლოგიასთან დაკავშირებული, შესაბამისი დოზით საჭირო არქიტექტურის საფუძვლები, პრაქტიკული კურსი. მოძრავი და უძრავი არქეოლოგიური ობიექტების 3D მოდელირებებებისთვის და რეკონსტრუქციებისთვის საჭირო კომპიუტერული პროგრამები.

- სასურველია სასწავლო კურსი „ხატვა“ (კოდი: ART31806G1-P) და „არქეოლოგიური ნახატი“ (კოდი: ART31906G1-P) გაერთიანდეს და მოხდეს კურსის სილაბუსის მოდიფიკაცია. სასურველი პრაქტიკული სწავლების თემატიკა მეტად იყოს აქცენტირებული უშუალოდ არქეოლოგიური, სხვადასხვა ტიპისა და მასალის არტეფაქტების გრაფიკულ ფიქსაციაზე (მასშტაბში არტეფაქტების სქემატური გამოსახვა, ჭრილები, პროფილები და ა. შ).
- აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქეოლოგიის პროგრამისა და ამავე პროგრამაში დასაქმებული აკადემიური პერსონალის შეფასება სტუდენტების მიერ ხდება ანონიმურად. ამ მიზნით სტუდენტების მიერ ივსება ნაბეჭდი სახით მათვის მიწოდებული შეფასების კითხვარი. თუმცა, პროგრამის შეფასების ჩატარების ტექნიკურ საშუალებების თვალსაზრისით გვექნება რჩევა: სასურველია ამ ტიპის შეფასება იყოს დისტანციური და ჩატარდეს ელექტრონულად. შესაძლოა ასეთი საშუალება იყოს მაგ. სტუდენტური პორტალი.
- უნივერსიტეტმა და რეაკრედიტაციის ეტაპზე მყოფმა არქეოლოგიის პროგრამის მესვეურებმა მეტი ყურადღება და ძილისხმევა უნდა მიმართონ პროგრამის სტუდენტების ხელშეწყობაზე რათა ისინი ჩართული აღმოჩნდნენ სხვადასხვა საერთაშორისო კვლევით პროექტებსა და კონფერენცია-ფორუმებში, პრაქტიკულ ვორკშოპებში. ყოველივე ამან ხელი უნდა შეუწყოს სტუდენტთა განვითარებას, პრაქტიკას, სამომავლო სამეცნიერო კვლევებისათვის საჭირო პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, მათ ინტერნაციონალიზაციას.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

- წინა აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციები (დაკვნის თარიღი: 11/12/2014) ამგვარად გამოიყურება:

1. პროგრამაში არის სასწავლო კურსების სილაბუსები, მაგალითად ინგლისური 1 და ინგლისური 2, სადაც მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებული ყოველკვირეული თემატიკაა შემოთავაზებული, მეორდება სასწავლო კურსის მიზნები და სწავლის შედეგები.
2. პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში იდენტური შეფასების სისტემა და შეფასების კრიტერიუმებია მითითებული. გარდა ამის სასურველია დაზუსტდეს თუ რა ტიპის დავალება იგულისხმება ყოველკვირეულ დავალებაში (საშინაო დავალება თუ დავალება აუდიტორიაში ქვიზის სახით და ა. შ.). ამდენად სასურველია, რომ ყველა ტიპის სასწავლო კურის სილაბუსებში ადეკვატურად იყოს ასახული დავალების ტიპები, შეფასების განსხვავებული მეთოდები და კრიტერიუმები.
3. სასურველია ლიტერატურის ნუსხა გამდიდრდეს მეტად თანამედროვე ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურით.

   უნდა აღვნიშნოთ, რომ წინა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების ნაწილი არ არის გათვალისწინებული დაწესებულების მიერ.

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამი სმიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქეოლოგიის" ბაკალავრიატის საგანმანათლებლოპროგრამის მიზანი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:„მაღალკვალიფიციური კურსდამთავრებულების მომზადება, რომელთაც ექნებათ -არქეოლოგიის თეორიული, საველე სამუშაოების წარმართვის, არქეოლოგიური მასალის დამუშავების და ტექნიკური ანალიზის ტექნოლოგიების პრინციპების ცოდნაარქეოლოგიური ძიების, მოპოვებული მასალის კონსერვაციის, ატრიბუციის და წარსულისრეკონსტრუქციის ამოცანების ეფექტურად გადასაწყვეტად;კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და მართვის აღიარებული პრიორიტეტების დაპროფესიული ეთიკის ნორმების ცოდნა და ის უნარები, რომლებიც უზრუნველყოფსპროფესიულ საქმიანობაში დასახული მიზნის ძეგლის, გარემოს და საზოგადოების ინტერესისდაუზიანებლად მიღწევას;ცოდნა და უნარები, რომლებიც განაპირობებს სწავლის მაღალ საფეხურზე გაგრძელების დაპროფესიული განვითარების საიმედო საფუძველს“.<br>პროგრამის აღწერილობის და კურიკულუმის, ასევე კურსდამთავრებულებთან და მოქმედ სტუდენტებთან ინტერვიუებით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვეთა პროგრამის ფართო პროფილი, რაც თვითშეფასების ანგარიშში შეფასებულია, როგორც პროგრამის „ინტერდისციპლინურობა“ და ძლიერ მხარედ არის დასახელებული. რეალურად კი არქეოლოგიის პროგრამის კურიკულუმი დატვირთულია სხვა სპეციალობების საგნებით, ხოლო არქეოლოგიის ძირითად საგნებს (არქეოლოგიის შესავალი, საქართველოს არქეოლოგია) მხოლოდ თითო სემესტრი ეთმობა, რაც აჩენს კითხვას პროგრამის საბოლოო მიზანთან მიმართებაში - რამდენად შეძლებს მაღალი კვალიფიკაციის არქეოლოგიის ბაკალავრის მომზადებას ეს პროგრამა?<br>შედეგად პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის პროფესიონალი არქეოლოგი. არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის შემსრულებელ ძირითად აკადემიურ პერსონალში ჭარბობს მომიჯნავე დარგების სპეციალისტები (გეოლოგია-მინერალოგია...), რაც შეიძლება ნაწილობრივ გავამართლოთ პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, თუმცა არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სამომავლო განვითარებისთვის მნიშვნელოვანია პროგრამის ამ კუთხით მოდიფიცირება და პროგრამაში პროფესიონალი არქეოლოგების წილის ზრდა. სუფთა არქეოლოგიური სასწავლო კურსების დამატების შემთხვევაში (რაზეც საუბარი გვაქვს დასკვნის მეორე სტანდარტის რეკომენდაციებში) სასურველი იქნებოდა ასევე არქეოლოგიის სპეციალობით აკადემიური პერსონალის დამატება. |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სტუ-ს არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები.
- უმაღლესი საგანამნათლებლო პროგრამების აკრეტიდაციის თვითშეფასების ანგარიში, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა არქეოლოგია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2019 წლის 12 აგვისტო.
- ინტერვიუმოქმედსტუდენტებთან, პროგრამის კურსდამთავრებულთან, აკადემიურ პერსონალთან, ადმინისტრაციულპერსონალთან, ხარისხისუზრუნველყოფისსამსახურისწარმომადგენელებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან.
- ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებული შემდეგ დაწესებულებთან: კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო ინსტიტუტი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო და სხვ.
- უნივერსიტეტისვებგვერდი
- სასწავლო პროგრამის სტუდენტები სარგებლობენ ელექტრონული ჟურნალის მობილური აპლიკაციით (GTU-tables)
- უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული არქეოლოგიის პროგრამის სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი ლაბორატორიების, სასწავლო პროცესისათვის განკუთვნილი პალეო ბიომრავალფეროვნებისა და გეოლოგიის კოლექციების დათვალიერება
- უნივერსიტეტისბიბლიოთეკისდასამკითხველოდარბაზებისდათვალიერება
- სტუდენტებისთვისხელმისაწვდომიელექტრონულისაერთაშორისოსამეცნიერობაზე ბის დათვალიერება
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის დეპარტამენტის ალმანახი, ტომიI(ძველი თბილისის კულტურული მემკვიდრეობა), თბილისი 2017; ალმანახიტომი II (კალაური), თბილისი 2018.

**რეკომენდაციები:**

პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის პროფესიონალი არქეოლოგი. არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის შემსრულებელ ძირითად აკადემიურ პერსონალში ჭარბობს მომიჯნავე დარგების სპეციალისტები (გეოლოგია-მინერალოგია...), რაც შეიძლება ნაწილობრივ გავამართლოთ პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, თუმცა არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სამომავლო განვითარებისთვის მნიშვნელოვანია პროგრამის ამ კუთხით მოდიფიცირება და პროგრამაში პროფესიონალი არქეოლოგების წილის ზრდა. სუფთა არქეოლოგიური სასწავლო კურსების დამატების შემთხვევაში (რაზეც საუბარი გვაქვს დასკვნის მეორე სტანდარტის რეკომენდაციებში) სასურველი იქნებოდა ასევე არქეოლოგიის სპეციალობით აკადემიური პერსონალის დამატება.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

Xმეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

### 1.2პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის დასრულებისას სტუდენტს ენიჭება არქეოლოგიის ბაკალავრის (Bachelor of Archaeology) ხარისხი, პროგრამით გათვალისწინებულიძირითადი სპეციალობის 200 კრედიტის და თავისუფალი კომპონენტების სახით 40 კრედიტისათვისების შემდეგ, არანაკლებ 240 კრედიტის შესრულების შემთხვევაში.ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „არქეოლოგიის" სწავლის შედეგებიშეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითადცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას.
პროგრამის სწავლის შედეგებია:განაზოგადებსარქეოლოგიურ ძეგლზე, პროფესიულ საკითხებზე არსებულ ინფორმაციას.აყალიბებსარქეოლოგიის, ისტორიის, მატერიალური კულტურის ისტორიის შემსწავლელი დარგების,მუზეოლოგიის და ძეგლთა დაცვის, არქეოლოგიური არტეფაქტების რესტავრაცია-კონსერვაციის, დამზადების ტექნოლოგიის თუ ტექნიკური ანალიზის ელემენტებს.განმარტავსისტორიული (არქეოლოგიური) ძეგლის შექმნის ფუნქცია-კატეგორიას და დამზადებისტექნოლოგიას, დარგის და დამხმარე საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათაურთიერთკავშირის მახასიათებლებს,

| |
|---|
| არქეოლოგიური ლითონის, მინისა და კერამიკისათვისდამახასიათებელ ფიზიკურ-ქიმიურ და ტექნოლოგიურ მონაცემებს.იყენებსარქეოლოგიურ საველე სამუშაოებში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების პრაქტიკულ-ფიზიკური და გეოლოგიური ძებნა–ძიების მეთოდებს, სპეციალურ ცოდნას - ახალაღმოჩენილიარტეფაქტების დასაფიქსირებლად და პალეორელიეფის სარეკონსტრუქციოდ, სხვადასხვასირთულის ჩანახატის შესასრულებლად და შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.ოპერირებსპროფესიული ტერმინოლოგიით დავალების თუ საკვალიფიკაციო ნაშრომის შესრულებისას,ტრადიციული და თანამედროვე მეთოდებითა და ხერხებით სახვითი ხელოვნების ნიმუშისშეფასებისას.ადგენსარქეოლოგიური ძეგლის ზოგად-კულტურულ კუთვნილებას, სამუზეუმო პოლიტიკისორიენტირებს, ხელოვნების ნაწარმოების შექმნისა და შესრულების გამომსახველობითიხერხების გამოყენების მოტივაციას.აანალიზებსარქეოლოგიური არტეფაქტის და დეკორატიული ხელოვნების ნიმუშის რესტავრაცია-კონსერვაციის ლაბორატორიულ ექსპერიმენტს, არქეოლოგიური მონაპოვრის დაცვისა დაპოპულარიზაციის გზების მიზანშეწონილობას.განსაზღვრავსკულტურული მემკვიდრეობის მართვის პრიორიტეტებს, არქეოლოგიური ძეგლის დაცვისთვალსაზრისით ბუნებრივი გარემოს ფაქტორს, სანახელავო და ხელოვნურ ქვებს, შავ, ფერადდა კეთილშობილ ლითონებს.განიხილავსარქეოლოგიურ ძეგლის ზოგადისტორიულ და ქართული მატერიალური კულტურის ნიმუშთაადგილს ცივილიზაციის განვითარების კონტექსტში, კულტურული მემკვიდრეობისექსპერტიზის, როგორც ისტორიული და თანამედროვე მატერიალური კულტურისშემსწავლელი მიმართულების კომპლექსურ-ტექნოლოგიურ და სარესტავრაციო აღდგენისთეორიულ საკითხებს.ახდენსეპოქის სტილური მხატვრული ტენდენციების, მატერიალური კულტურის ძეგლ(ებ)ისპრევენციული დაცვის პრაქტიკული შესაძლებლობების იდენტიფიცირებას.აკეთებს დასკვნასსაველე და კამერალური სამუშაოების საფუძველზე მიღებული წყაროთმცოდნეობითიინფორმაციის და სიძველეთა დამუშავების ექსპერიმენტულ სქემებს შორის არჩევანის შეჩერებისთაობაზე.<br>უნივერსიტეტში ვიზიტის დროს გაირკვა, რომ 2015 წელს არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე მიღებული 20 სტუდენტიდან 2019 წელს ბაკალავრის დიპლომი აიღო მხოლოდ 3-მა. ინტერვიუს დროს დაფიქსირდა, რომ არცერთმა მათგანმა არ გაგრძელა სწავლა მაგისტრატურაში. ობიექტური მიზეზების გარდა სავარაუდოდ არსებობს პრობლემები, რომლის გამოსწორებაზეც უნდა იფიქროს პროგრამის მენეჯმენტმა, თუკი მიზნად აქვთ დასახული პროგრამის შემდგომი განვითარება და სრულყოფა. ეს შეიძლება იყოს: კურიკულუმის განახლება და შევსება არქეოლოგიის დისციპლინის საგნებით, აკადემიური პერსონალის გაახალგაზრდავება პროგრამაში მეტი პროფესიონალი და პრაქტიკოსი არქეოლოგის ჩართვით, სტუდენტების მოტივაციის ამაღლება მათთვის საწყის ეტაპზე თუნდაც სტაჟირების შეთავაზებით...კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს ადგილი ჰქონდა უცნაურ შემთხვევას - 2019 წლის კურსდამთავრებულმა ვერ დაასახელა რამდენიმე თვის წინ დაცული საბაკალავრო ნაშრომის თემა, სათაური. პროგრამის მიხედვით საბაკალავრო ნაშრომს აფასებს 3-კაციანი კომისია. ვფიქრობთ, სტუდენტთა მოტივაციის გაზრდის, საბაკალავრო ნაშრომის ხარისხის ამაღლების და შეფასების მეტი ობიექტურობისთვის აუცილებელია კომისიის გაზრდა და სპეციალისტთა მეტი ჩართულობა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ სტუ-ს არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა.<br>○ უმაღლესი საგანამნათლებლო პროგრამების აკრეტიდაციის თვითშეფასების ანგარიში, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა არქეოლოგია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2019 წლის 12 აგვისტო.<br>○ ინტერვიუმოქმედსტუდენტებთან, პროგრამის კურსდამთავრებულთან, აკადემიურ |

პერსონალთან, ადმინისტრაციულპერსონალთან, ხარისხისუზრუნველყოფისსამსახურისწარმომადგენელებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან.

**რეკომენდაციები:**

- პროგრამის მიხედვით საბაკალავრო ნაშრომს აფასებს 3-კაციანი კომისია. ვფიქრობთ, სტუდენტთა მოტივაციის გაზრდის, საბაკალავრო ნაშრომის ხარისხის ამაღლების და შეფასების მეტი ობიექტურობისთვის აუცილებელია კომისიის გაზრდა და სპეციალისტთა მეტი ჩართულობა.
- 2015 წელს არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე მიღებული 20 სტუდენტიდან 2019 წელს ბაკალავრის დიპლომი აიღო მხოლოდ 3-მა. ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ არცერთმა მათგანმა არ გაგრძელა სწავლა მაგისტრატურაში. ობიექტური მიზეზების გარდა სავარაუდოდ არსებობს პრობლემები, რომლის გამოსწორებაზეც უნდა იფიქროს პროგრამის მენეჯმენტმა, თუკი მიზნად აქვთ დასახული პროგრამის შემდგომი განვითარება და სრულყოფა. ეს შეიძლება იყოს: კურიკულუმის განახლება და შევსება არქეოლოგიის დისციპლინის საგნებით, აკადემიური პერსონალის გაახალგაზრდავება პროგრამაში მეტი პროფესიონალი და პრაქტიკოსი არქეოლოგის ჩართვით, სტუდენტების მოტივაციის ამაღლება მათთვის საწყის ეტაპზე თუნდაც სტაჟირების შეთავაზებით...

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

Xმეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა | | X | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არ საჭიროებს სხვა რაიმე სპეციფიურ დაშვების წინაპირობას. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა სამართლიანი, გამჭვირვალე და საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციაა, რომელიც რეგულირდება შემდეგნაირად: ერთიანი ეროვნული გამოცდები. პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.<br>○ საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდის გავლის გარეშე ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის“ შესაბამისად. გარე მობილობა. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე, შესაძლებელია, მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად. |

- საგანმანათლებლო პროგრამაზე ასევე დაიშვებიან მსურველები შიდა მობილობის წესით. შიდა მობილობის ვადები და პროცედურები დგინდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით და ინფორმაცია თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სტუ-ს არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა.
- უმაღლესი საგანამნათლებლო პროგრამების აკრეტიდაციის თვითშეფასების ანგარიში, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა არქეოლოგია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2019 წლის 12 აგვისტო.
- ინტერვიუმოქმედსტუდენტებთან, პროგრამის კურსდამთავრებულთან, აკადემიურ პერსონალთან, ადმინისტრაციულპერსონალთან, ხარისხისუზრუნველყოფისსამსახურისწარმომადგენელებთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

Xშესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

| 2.2საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით. 1 კრედიტი უდრის 25 საათს,რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები.თითოეული სემესტრის მოცულობა არის - 30 ECTS კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობაა 4წელი (8 სემესტრი). ერთი სემესტრი მოიცავს 20 კვირას.თითოეულ სემესტრში თითოეული სასწავლო კურსის შეფასების მაქსიმალური ქულაა 100.შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულაა 60. შუალედური შეფასება შედგება 2კომპონენტისაგან: მიმდინარე აქტივობა და შუასემესტრული გამოცდა. მიმდინარე აქტივობისმაქსიმალური შეფასებაა 30 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასებაა - 15 ქულა,შუასემესტრული გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა - 30 ქულა, მინიმალური დადებითიშეფასებაა - 7,5, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 40 ქულა, მინიმალური კი - 10.სემესტრის მანძილზე სტუდენტი აბარებს ერთ შუასემესტრულ და ერთ დასკვნით გამოცდას.თვით სასწავლო კურსი განაწილებულია 15 კვირად. XVII კვირა ეთმობა თემატურ პროექტს დაგამოცდისათვის მზადებას, XVIII–XIX კვირას ტარდება დასკვნითი გამოცდა. საჭიროებისშემთხვევაში XX კვირა ეთმობა დამატებით გამოცდას. დამატებით გამოცდაზე სტუდენტი გადის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან ფინალურ გამოცდაზე გასვლის შემდეგ ჯამშიდააგროვა 41-დან 50 ქულის ჩათვლით. არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა აჩენს კითხვას, თუ რამდენად არის შესაბამისობაში პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან მისანიჭებელი კვალიფიკაცია - არქეოლოგიის ბაკალავრი. არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში დიდი რაოდენობითაა მომიჯნავე დისციპლინის (გეოლოგია-მინერალოგიის) სასწავლო კურსები და პირიქით არქეოლოგიის დარგისთვის უმნიშვნელოვანესი სასწავლო კურსების დეფიციტია (მაგალითად, საგანი „საქართველოს არქეოლოგია" ერთსემესტრიანია და მთავრდება რომაული ეპოქით, ხოლო საბაკალავრო საფეხურისთვის მნიშვნელოვანი სასწავლო კურსები: ფეოდალური ხანის არქეოლოგია, საქართველოს ხელოვნების ისტორია, პალეოურბანისტიკა... არ ისწავლება) შესაბამისად, პროგრამის სამომავლო განვითარებისთვის მნიშვნელოვანია პროგრამის ამ კუთხით მოდიფიცირება.<br>○ |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ სტუ-ს არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა.<br>○ უმაღლესი საგანამნათლებლო პროგრამების აკრეტიდაციის თვითშეფასების ანგარიში, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა არქეოლოგია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2019 წლის 12 აგვისტო.<br>○ ინტერვიუმოქმედსტუდენტებთან, პროგრამის კურსდამთავრებულთან, აკადემიურ პერსონალთან, ადმინისტრაციულპერსონალთან, ხარისხისუზრუნველყოფისსამსახურისწარმომადგენელებთან. |
| **რეკომენდაციები:** |

- არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში დიდი რაოდენობითაა მომიჯნავე დისციპლინის (გეოლოგია-მინერალოგიის) სასწავლო კურსები და პირიქით არქეოლოგიის დარგისთვის უმნიშვნელოვანესი სასწავლო კურსების დეფიციტია. შესაბამისად, პროგრამის სამომავლო განვითარებისთვის მნიშვნელოვანია პროგრამის ამ კუთხით მოდიფიცირება.
-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- უცხოელი, დარგის სპეციალისტების მოზიდვა სალექციო კურსის, სემინარების, ვორკშოპებისა, თუ სხვა სასწავლო-კვლევითი ღონისძიებების განხორციელების მიზნით.
- სასურველია სწავლების პროცესში დაინერგოს აუდიო და ვიდეო მასალების გამოყენება და მოხდეს მათი ასახვა სილაბუსებში ლინკების მითითებით.
- არქეოლოგიის ძირითადი საგნებისა და მომიჯნავე მიმართულების საგნების სილაბუსების შედგენისას სასურველია მოხდეს კოორდინირება პროგრამის ხელმძღვანელობასა და სილაბუსების ავტორებს შორის პროგრამის მიზნებით გათვალისწინებული შედეგობრივი მიღწევების გასაუმჯობესებლად.
- სასწავლო პროგრამაში გაიზარდოს უშუალოდ არქეოლოგიის ძირითად საგნებთან დაკავშირებული მოწვეული აკადემიური პერსონალის რიცხვი.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის

| |
|---|
| სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი** |

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ნაწილობრივ შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა ნაწილობრივშეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. რიგ კურსებთან მიმართებაში, არსებობს შენიშვნები, რომელიც დეტალურადაა განმარტებული ქვემოთ. მოცემული შენიშვნების გათვალისწინების შემთხვევაში შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამაში მოცემული სავალდებულო სასწავლო კურსის შედეგები ნაწილობრივ შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს.
  - სასწავლო კურსები „მინერალოგიის შესავალი“ და „მინერალოგია“ შინაარსობლივად სრულ თანხვდენაშია ერთმანეთთან (სალექციო თემები: 2-14). გაუგებარია რა საჭიროა ერთი პროგრამის ფარგლებში ორი იდენტური კურსი.
  - სავალდებულო სასწავლო კურსებში მოცემულია: „**საველე არქეოლოგია**“, 5 კრედიტიანი სასწავლო კურსი.15 სალექციო და 30 პრაქტიკის საათობრივი განაწილებით.„**საველე არქეოლოგია**“, 5 კრედიტიანი სასწავლო კურსი. 60 სთ.„საველე პრაქტიკა“, 5 კრედიტიანი სასწავლო კურსი. 60 სთ.„**საველე პრაქტიკა - დაზვერვები**“, 5 კრედიტიანი სასწავლო კურსი. 60 სთ.**„საველე პრაქტიკა - სტაციონარული გათხრები“**, 5 კრედიტიანი სასწავლო კურსი. 60 სთ.გამომდინარე იქიდან, რომ ზემოჩამოთვლილ ამ სხვადასხვა სასწავლო კურსებში თემების დასახელება და შინაარსი მეორდება, მოხდეს მათი ერთმანეთთან გაერთიანება და მოდიფიკაცია. აქვე, ცალკე სასწავლო კურსის სახით შესაძლოა მოაზრებული იყოს „ლანდშაფტური არქეოლოგია“სასწავლო კურსს, სახელწოდებით „საქართველოს არქეოლოგია“ შეეცვალოს სახელწოდება ან მოხდეს მისი მოდიფიკაცია. სასწავლო კურსის სილაბუსი არ პასუხობს კურსის სახელწოდებას: სილაბუსში სრულებით არ არის წარმოდგენილი შუა საუკუნების არქეოლოგია და მასთან დაკავშირებული შესაბამისი თემები. ამდენად, არსებული სასწავლო კურსი ფაქტიურად წარმოადგენს „საქართველოს წინაქრისტიანული ხანის არქეოლოგიას“.
  - სასწავლო კურსის სილაბუსი „შრომის უსაფრთხოება არქეოლოგიაში“ (კოდი: HHS22503G1-LB) შეეცვალოს სახელწოდება ან მოხდეს მისი მოდიფიკაცია. სასწავლო კურსის სილაბუსი არ პასუხობს კურსის სახელწოდებას: სილაბუსში სრულებით არ არის წარმოდგენილი შუა საუკუნებურსი მოდიფიცირდეს და მასში მეტი დოზით შევიდეს უშუალოდ საველე-არქეოლოგიურ სამუშაოებთან დაკავშირებული უსაფრთხოების საკითხები (მაგ. მიწის სამუშაოების დროს გასათვალისწინებელი უსაფრთხოების ზომები: არქეოლოგიური თხრილების დაცვა (შემოზღუდვა, მარკირება სანიშნებით) მასში ადამიანების ჩავარდნის რისკებისაგან; არქეოლოგიურ თხრილებში მომუშავე პერსონალის დაცვა თხრილის პროფილების ჩამოზვავებისაგან და შესაბამისი, გასატარებელი ღონისძიებები (მაგ. თხრილების დატერასების პრინციპები). საველე სამუშაოების წარმოებისათვის საჭირო პერსონალური დაცვის აღჭურვილობა (PPE) და ა. შ.
  - მნიშვნელოვან განახლებას საჭიროებს სასწავლო კურსი: „ნუმიზმატიკა“. ლექტორი არ არის ამ დარგის სპეციალისტი (მის პროფესიულ ბიოგრაფიაში არ ჩანს არცერთი ნაშრომი ამ მიმართულებით). ეს გარემოება ეტყობა სილაბუსსაც. კურსის შინაარსის მიხედვით ეს არის არა ნუმიზმატიკა, არამედ „ქართული

| |
|---|
| ნუმიზმატიკა“. ამასთან კურსი წყდება მე-13 ს-ით და საერთოდ არ ეხება მე-14-19 სს-ის ქართულ ნუმიზმატიკას.მნიშვნელოვან განახლებას საჭიროებს სასწავლო კურსი: „საქართველოსკულტურულიმემკვიდრეობისძეგლები“.შინაარსი და თემატიკა არის გაფანტულად, ძირითადი აქცენტია სასულიერო კულტურის ძეგლებზე. არ ჩანს საერო არქიტექტურა (ციხე-სიმაგრეები, ხიდები, სასახლეები, მთის კოშკი-საცხოვრებლები).მე-19-20 სს-ის ხელოვნებაში მხოლოდ თბილისია. არ არის კულტურული მემკვიდრეობის ურბანული გეგმარების ძეგლები (ქუთაისი, თბილისი, ბათუმი, თელავი, სიღნაღი, გორი...). |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ სტუ-ს არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა.<br>○ სტუ-ს არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსები.<br>○ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.<br>○ უმაღლესი საგანამნათლებლო პროგრამების აკრეტიდაციის თვითშეფასების ანგარიში, ზაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა არქეოლოგია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2019 წლის 12 აგვისტო.<br>○ ინტერვიუმოქმედსტუდენტებთან, პროგრამის კურსდამთავრებულთან, აკადემიურ პერსონალთან, ადმინისტრაციულპერსონალთან, ხარისხისუზრუნველყოფისსამსახურისწარმომადგენელებთან |
| **რეკომენდაციები:**<br><br>• სასწავლო კურსები „მინერალოგიის შესავალი“ და „მინერალოგია“ შინაარსობლივად სრულ თანხვდენაშია ერთმანეთთან (სალექციო თემები: 2-14). გაუგებარია რა საჭიროა ერთი პროგრამის ფარგლებში ორი იდენტური კურსი.<br>• სავალდებულო სასწავლო კურსებში მოცემულია: „**საველე არქეოლოგია**“, 5 კრედიტიანი სასწავლო კურსი.15 სალექციო და 30 პრაქტიკის საათობრივი განაწილებით.„**საველე არქეოლოგია**“, 5 კრედიტიანი სასწავლო კურსი. 60 სთ.„საველე პრაქტიკა“, 5 კრედიტიანი სასწავლო კურსი. 60 სთ.„**საველე პრაქტიკა - დაზვერვები**“, 5 კრედიტიანი სასწავლო კურსი. 60 სთ.„**საველე პრაქტიკა - სტაციონარული გათხრები“**, 5 კრედიტიანი სასწავლო კურსი. 60 სთ.გამომდინარე იქიდან, რომ ზემოჩამოთვლილ ამ სხვადასხვა სასწავლო კურსებში თემების დასახელება და შინაარსი მეორდება, მოხდეს მათი ერთმანეთთან გაერთიანება და მოდიფიკაცია. აქვე, ცალკე სასწავლო კურსის სახით შესაძლოა მოაზრებული იყოს „ლანდშაფტური არქეოლოგია“.<br>• სასწავლო კურსს, სახელწოდებით „საქართველოს არქეოლოგია“ შეეცვალოს სახელწოდება ან მოხდეს მისი მოდიფიკაცია. სასწავლო კურსის სილაბუსი არ პასუხობს კურსის სახელწოდებას: სილაბუსში სრულებით არ არის წარმოდგენილი შუა საუკუნების არქეოლოგია და მასთან დაკავშირეული შესაბამისი თემები. ამდენად, არსებული სასწავლო კურსი ფაქტიურად წარმოადგენს „საქართველოს წინაქრისტიანული ხანის არქეოლოგიას“.<br>• სასწავლო კურსის სილაბუსი „შრომის უსაფრთხოება არქეოლოგიაში“ (კოდი: HHS22503G1-LB) 4 კრედიტიანი, 15 სალექციო და 15 ლაბორატორიული საათების გადანაწილებით. რჩება შთაბეჭდილება, რომ კურსი უფრო მეტადაა მორგებული საწარმოო-სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებს. ამდენად, სასურველია კურსი მოდიფიცირდეს და მასში მეტი დოზით შევიდეს უშუალოდ საველე-არქეოლოგიურ სამუშაოებთან |

დაკავშირებული უსაფრთხოების საკითხები (მაგ. მიწის სამუშაოების დროს გასათვალისწინებელი უსაფრთხოების ზომები: არქეოლოგიური თხრილების დაცვა (შემოზღუდვა, მარკირება სანიშნებით) მასში ადამიანების ჩავარდნის რისკებისაგან; არქეოლოგიურ თხრილებში მომუშავე პერსონალის დაცვა თხრილის პროფილების ჩამოზვავებისაგან და შესაბამისი, გასატარებელი ღონისძიებები (მაგ. თხრილების დატერასების პრინციპები). საველე სამუშაოების წარმოებისათვის საჭირო პერსონალური დაცვის აღჭურვილობა (PPE) და ა.შ.

- მნიშვნელოვან განახლებას საჭიროებს სასწავლო კურსი: „ნუმიზმატიკა“. ლექტორი არ არის ამ დარგის სპეციალისტი (მის პროფესიულ ბიოგრაფიაში არ ჩანს არცერთი ნაშრომი ამ მიმართულებით). ეს გარემოება ეტყობა სილაბუსსაც. კურსის შინაარსის მიხედვით ეს არის არა ნუმიზმატიკა, არამედ „ქართული ნუმიზმატიკა“. ამასთან კურსი წყდება მე-13 ს-ით და საერთოდ არ ეხება მე-14-19 სს-ის ქართულ ნუმიზმატიკას.
- მნიშვნელოვან განახლებას საჭიროებს სასწავლო კურსი: „საქართველოსკულტურულიმემკვიდრეობისძეგლები“.შინაარსი და თემატიკა არისგაფანტულად, ძირითადიაქცენტიასასულიეროკულტურისძეგლებზე. არჩანს საეროარქიტექტურა (ციხე-სიმაგრეები, ხიდები, სასახლეები, მთისკოშკი-საცხოვრებლები).მე-19-20სს-ისხელოვნებაშიმხოლოდთბილისია.არარისკულტურულიმემკვიდრეობისურბან ულიგეგმარებისძეგლები (ქუთაისი, თბილისი, ბათუმი, თელავი, სიღნაღი, გორი...).

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასწავლო პროგრამების სილაბუსებშიუცხოენოვანი (ინგლისური) ლიტერატურის (არაძირითად ლიტერატურაში მაინც) გაზრდა.
- არქეოლოგიის სასწავლო პროგრამაში საქართველოს არქეოლოგიის ძირითადი სავალდებულო საკითხები ჩართვის მიზნით განხორციელდეს „საქართველოს არქეოლოგიის“ პერიოდებად დაყოფა და მათი ცალკეულ სასწავლო კურსებად ჩართვა სასწავლო პროგრამაში: მაგ. „ქვის ხანის არქეოლოგია“, „ბრინჯაოს ხანის არქეოლოგია“, „წინარეანტიკური და ანტიკური ხანის (კლასიკური) არქეოლოგია“, „შუა საუკუნეების არქეოლოგია“.
- საველე-არქეოლოგიის სალექციო და პრაქტიკულ სასწავლო კურსებში დაემატოს და გაიზარდოს გეო-საინფორმაციო სისტემების თეორიული და პრაქტიკული სწავლება (ელექტრონული ტახეომეტრი (TST), GIS, ArcGIS, ArcMap, AutoCAD და სხვ.)
- საველე-არქეოლოგიის სალექციო და პრაქტიკულ სასწავლო კურსებში ან ცალკე კურსის სახით დაემატოს საველე-არქეოლოგიური ფოტოგრაფია, მათ შორის აეროფოტოგრაფია; არქეოლოგიური არტეფაქტების ფოტოგრაფირება. ფოტომასალების დამუშავებისათვის საჭირო კომპიუტერული პროგრამების სწავლება და სხვ.
- სასურველია მოცემულ პროგრამაში ისწავლებოდეს საველე არქეოლოგიასთან დაკავშირებული, შესაბამისი დოზით საჭირო არქიტექტურის საფუძვლები, პრაქტიკული კურსი. მოძრავი და უძრავი არქეოლოგიური ობიექტების 3D მოდელირებებებისთვის და რეკონსტრუქციებისთვის საჭირო კომპიუტერული პროგრამები.

სასურველია სასწავლო კურსი „ხატვა“ (კოდი: ART31806G1-P) და „არქეოლოგიური ნახატი“ (კოდი: ART31906G1-P) გაერთიანდეს და მოხდეს კურსის სილაბუსის მოდიფიკაცია.

| |
|---|
| სასურველი პრაქტიკული სწავლების თემატიკა მეტად იყოს აქცენტირებული უშუალოდ არქეოლოგიური, სხვადასხვა ტიპისა და მასალის არტეფაქტების გრაფიკულ ფიქსაციაზე (მასშტაბში არტეფაქტების სქემატური გამოსახვა, ჭრილები, პროფილები და ა. შ). |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.4პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ პროგრამაში წარმოდგენილ კურსებსა და აქტივობებს აქვს პოტენციალი, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებისთვის. თუმცა, 2.3-ში აღწერილი რეკომენდაციების შესაბამისად, აუცილებელია შედეგების მიღწევის თვალსაზრისით, გაცილებით აქტიური მუშაობა.<br>○ პროგრამის ფარგლებშიგათვალისწინებულია ოთხი სხვადასხვა პრაქტიკა (საველეს გარდა, სამუზეუმოსხჩათვლით). პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიზნით საქართველოს ტექნიკურუნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შემდეგ ორგანიზაციებთან:საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულსააგენტოსთან, კავკასიის ხალხთა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტთან და ქართულტაძარ-მონასტრების აღმშენებლობისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა დასაადგილმამულო ბანკის |

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდთან, მემორანდუმისფარგლებში პარტნიორული ურთიერთობაა თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობისეროვნულ სასახლესთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სტუ-ს არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა.
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრეტიდაციის თვითშეფასების ანგარიში, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა არქეოლოგია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2019 წლის 12 აგვისტო.
- ინტერვიუმოქმედსტუდენტებთან, პროგრამის კურსდამთავრებულთან, აკადემიურ პერსონალთან, ადმინისტრაციულპერსონალთან, ხარისხისუზრუნველყოფისსამსახურისწარმომადგენელებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან.
- ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებული შემდეგ დაწესებულებთან: კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო ინსტიტუტი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო და სხვ.
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის დეპარტამენტის ალმანახი, ტომიI(ძველი თბილისის კულტურული მემკვიდრეობა), თბილისი 2017; ალმანახიტომი II (კალაური), თბილისი 2018.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

Xშესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

## 2.5სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**

